ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 13-55

"14" ივლისი 2017 წ.

ქ. თბილისი

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებით (სსმ, ვებგვერდი, www.Matsne.gov.ge, 16/12/2014; სარეგისტრაციო კოდი 300130000.35.101.016056) დამტკიცებულ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესში" (დანართი 1) შევიდეს ცვლილება:

1. 26-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ერთ–ერთი შემდეგი პირობა:

მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ 2017 წლის 22 მაისამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) გაცემულია წერილობითი დასტური;

ბ) დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

გ) დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.".

2. 27^1 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული) გარემოსდაცვით სფეროში (აგრონომი, ბიოლოგი და მეტყევე);".

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

პროექტის მიღების მიზანია, როგორც ნორმატიული აქტით დადგენილი ნორმის ამოქმედებისა და შესაბამის ურთიერთობებზე მისი გავრცელების წინაპირობების დაზუსტება, აგრეთვე მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი უფლებამოსილი პირებისთვის იმ პირობებისა და კრიტერიუმების დახვეწა, რომელიც განსაზღვრავს ექსპერტთა მონაცემთა ბაზაში რეგისტრაციის საფუძველს.

,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებით დამტკიცებული წესის 26–ე მუხლის მე–6 პუნტის შესაბამისად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავს შორის შეადგენს 3 მეტრს. აღსანიშნავია, რომ მოცემული პუნქტი ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 22 მაისს.

იმისათვის, რომ მოცემულ შემთხვევაში დაცული იქნას დაინტერესებული პირის კანონიერი უფლება 26–ე მუხლის მე–6 პუნქტის ამოქმედებამდე გაცემულ წერილობით დადასტურებასთან, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ან დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმასთან მიმართებით და გამოირიცხოს ამგვარი რეგულაციის გავრცელების ალბათობა მის ამოქმედებამდე გაცემულ წერილობით დადასტურებასთან, დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან ან დამტკიცებულ განაშენიანების რეგულირების გეგმასთან მიმართებით აუცილებელია, რომ მოცემული პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,6. დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და ხეებს შორის შეადგენს 3 მეტრს, ხოლო მშენებარე შენობასა და ბუჩქებს შორის 1,5 მეტრს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სახეზეა ერთ–ერთი შემდეგი

პირობა. მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ 2017 წლის 22 მაისამდე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) გაცემულია წერილობითი დასტური;

ბ) დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები;

გ) დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.".

ნორმატიულ აქტში აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება სიცხადე გამოყენებად სამართალთან მიმართებით. კერძოდ, იმ შემთხვევებში, თუ 2017 წლის 22 მაისამდე გაცემულია წერილობითი დადასტურება, ან დამტკიცებულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ან დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა.

მონაცემთა ბაზაში პირის რეგისტრაციისთვის მოქმედი რედაქციით ერთ–ერთ მინიმალური საკვალიფიკაციო მოთხოვნას წარმოადგენს - უმაღლესი განათლება გარემოსდაცვით სფეროში (აგრონომი, ბიოლოგი და მეტყევე); მოცემული საქმიანობის სფეროში არსებული რისკების მაქსიმალურად პრევენციის მიზნით, აუცილებელია მოცემული საქმიანობა აწარმოოს უმაღლესი აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალმა (მაგისტრმა ან მაგისტრთან გათანაბრებულმა პირმა). შესაბამისად, აუცილებელია 27[1] მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უმაღლესი განათლება (მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული) გარემოსდაცვით სფეროში (აგრონომი, ბიოლოგი და მეტყევე);".

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:
დადგენილების პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.